რუსუდან მეძმარიაშვილი
საგარეო ურთიერთობების მენეჯერი

საქართველოს მილსადენის კომპანია
იალბუზის ქუჩა №14
თბილისი, 0144
საქართველო

ტელ.:+995 32 259 3400
www.bpgeorgia.ge
წერილის No: **GPC/OUT/1882/22**

08 დეკემბერი, 2022 წ.

ქ-ნ თამარ ფიცხელაურს
სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტოს" უფროსს
საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
თბილისი, 0112, დ. აღმაშენებლის გამზ. N150

ასლი (დანართის გარეშე):
ბ-ნ შალვა კიკნაველიძეს
სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციას"
დირექტორს ტექნიკურ საკითხებში
თბილისი, 0152, კახეთის გზატკეცილი N 21

საგანი: სკრინინგის განაცხადი მდ. ქსანის კალაპოტისა და ნაპირების დაცვის ღონისძიებების შესახებ, დმსმ KP99+624

სს „საქართველოს გარემოს ეროვნული სააგენტო"
„09" 12 2022
№ 7248

ქ-ნო თამარ,

სს „საქართველოს მილსადენის კომპანიის საქართველოს ფილიალი"-ს (ს/ნ 201955090) მიერ, დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მილსადენის (დმსმ) უსაფრთხო და შეუფერხებელი ექსპლუატაციის უზრუნველყოფის მიზნით, დაგეგმილია *მდ. ქსანის კალაპოტისა და ნაპირების დაცვის ღონისძიებების პროექტის* გადაუდებელ რეჟიმში განხორციელება.

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის შესაბამისად, ზემოაღნიშნული პროექტის სკრინინგის პროცედურის ფარგლებში, წარმოგიდგენთ შემდეგ დოკუმენტაციას:

- სკრინინგის ანგარიში (დაგეგმილი საქმიანობის მახასიათებლების შესახებ და შესაძლო ზემოქმედების ხასიათის თაობაზე).
- GIS შეიპფაილები - დაგეგმილი საქმიანობის ადგილმდებარეობის კოორდინატებით.
- საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის 2022 წლის 07 დეკემბრის N 2-03/19504 წერილი – თანხმობა პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებით.
- სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსათვის" წარდგენილი შეტყობინება N GPC/OUT/1872/22 - სახელმწიფო საკუთრებაში რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის

ნაწილისა და დაურეგისტრირებელი მიწის ფართობით სარგებლობასა და ხე-მცენარეების მოჭრაზე.

ამასთან ავღნიშნავთ, რომ მაგისტრალური მილსადენების დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების შესახებ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის N 365 დადგენილების (მუხლი 6) შესაბამისად მაგისტრალური მილსადენის ოპერატორს უფლება აქვს განახორციელოს ჭრები და მიწით სარგებლობა, შესაბამისი შეტყობინების გაგზავნიდან 15 დღეში.

- სსიპ „ეროვნული სატყეო სააგენტოში" წარდგენილი განაცხადი N GPC/OUT/1874/22 - სპეციალური ტყითსარგებლობის უფლების მინიჭებაზე.
- სს „საქართველოს მილსადენის კომპანიის საქართველოს ფილიალი"-ს (ს/ნ 201955090) ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან.
- 2021 წლის 8 ოქტომბერს გაცემული მინდობილობა, ქ-ნი რუსუდან მეძმარიაშვილისათვის უფლებამოსილების მინიჭების შესახებ (სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი N211130238).

საერთაშორისო მნიშვნელობის მაგისტრალური ნავთობსადენის უსაფრთხო და შეუფერხებელი ოპერირების უზრუნველყოფის მიზნით, მოგმართავთ თხოვნით, შეძლებისდაგვარად მოკლე ვადაში, განიხილოთ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და მიიღოთ სკრინინგის გადაწყვეტილება.

პატივისცემით,

რ. მეძმარიაშვილი

დანართი:

- სკრინინგის საინფორმაციო დოკუმენტი - 56 ფურცელი.
- GIS შეიპფაილები - 1 CD.
- საავტომობილო გზების დეპარტამენტის 2022 წლის 07 დეკემბრის N 2-03/19504 წერილის ასლი - 1 ფურცელი.
- სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსავის" წარდგენილი შეტყობინების N GPC/OUT/1872/22 ასლი (დანართების გარეშე) - 2 ფურცელი.
- სსიპ „ეროვნული სატყეო სააგენტოში" წარდგენილი განაცხადის N GPC/OUT/1874/22 ასლი - 2 ფურცელი.
- კომპანიის ამონაწერს იურიდიული პირების რეესტრიდან - 2 ფურცელი.
- 2021 წლის 8 ოქტომბრის მინდობილობა - 9 ფურცელი.